საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2011 წლის 24 ოქტომბერი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 77

,, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში წარჩინებულ სტუდენტთათვის სახელობითი სტიპენდიის დაწესების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2010 წლის 11 ოქტომბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 11 ოქტომბრის №9 დადგენილებაში:
   - დადგენილების დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთათვის სახელობითი სტიპენდიების დაწესებისა შესახებ''.
   - არსებულ სახელობით სტიპენდიებს დაემატოს გოგი დოლიძის სახელობის შემოქმედებითი 5 სტიპენდია, თითოეული 80 ლარის ოდენობით.

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**